4

ქართული ენა

თეორიული მასალა

ნინო გორდელაძე
თინათინ კუხიანიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

შინაარსი

ქართული ანბანი და ასოთა სახელები 4
მჟღერი და ყრუ თანხმოვნები 5
არსებითი სახელი 6
არსებითი სახელის რიცხვი 7
მრავლობითის ძველი ფორმა 8
სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები 9
არსებითი სახელის ბრუნება 10
არსებითი სახელის კვეცა 11
არსებითი სახელის კუმშვა 12
კუმშვად-კვეცადი სახელები 13
-დან თუ -გან? 14
ზმნა 15
ზმნის უღლება 16
ზმნა და არსებითი სახელი 17
ზმნის წინა მარცვალი 18
ზმნა და ახლანდელი დრო 19
აწმყო, წარსული და მომავალი 20
სახალისო საკითხავი 21
რიცხვში მონაცვლე ზმნები 22
რიცხვითი სახელი 23
რიცხვითი სახელის მართლწერა 24
ზედსართავი სახელი 25
საგნის აღწერა 26
ზედსართავისა და არსებითი სახელების ბრუნება 27
სიტყვის შერჩევა 28
ზმნა და ზმნიზედა 29
ნაცვალსახელი 30
ჩვენებითი ნაცვალსახელი 31
თხრობითი და კითხვითი წინადადებები 32
ძახილის ნიშანი 33
საკუთარი სახელები 34

ქართული ანბანი და ასოთა სახელები

ა ანი	მ მანი	ღ ღანი
ბ ბანი	ნ ნარი	ყ ყარი
გ განი	ო ონი	შ შინი
დ დონი	პ პარი	ჩ ჩინი
ე ენი	ჟ ჟანი	ც ცანი
ვ ვინი	რ რაე	ძ ძილი
ზ ზენი	ს სანი	წ წილი
თ თანი	ტ ტარი	ჭ ჭარი
ი ინი	უ უნი	ხ ხანი
კ კანი	ფ ფარი	ჯ ჯანი
ლ ლასი	ქ ქანი	ჰ ჰაე

მჟღერი და ყრუ თანხმოვნები

გარკვევით გამოთქვი შემდეგი სიტყვები: ვამბო**ბ,** ვაკეთე**ბ,**
ჩუმა**დ,** კარგა**დ.**

ახლა ცალკე წარმოთქვი ბგერა **ბ**. შემდეგ წარმოთქვი ბგერა **ფ**.

- რომელი ჟღერს უფრო ძლიერად, **ბ** თუ **ფ**?

ჯერ გამოთქვი ბგერა **დ**, შემდეგ გამოთქვი – **თ**. ამათ შორის უფრო ძლიერად რომელი ჟღერს?

ბ და **დ** ძლიერად ჟღერს, მათ **მჟღერი თანხმოვნები** ჰქვია.
ფ და **თ** ყრუდ ისმის. მათ **ყრუ თანხმოვნები** ეწოდება.

- ბგერა **გ**-სა და **ქ**-ს შორის რა განსხვავებაა?

ერთად გამოთქვი მჟღერი და ყრუ თანხმოვნები:

ბ – **ფ** **დ** – **თ** **გ** – **ქ**

დაიმახსოვრე:
თუ მჟღერ ბგერებს მკვეთრად არ გამოვთქვამთ, ყრუ ბგერებს დაემსგავსება.

არსებითი სახელი

ქვემოთ მოცემულ წინადადებაში დააკვირდი არსებით სახელებს და აღნიშნე, სულიერია თუ უსულო:

„რა დაუშავა კრუხმა ქორს, რომ წიწილებს სტაცებს?“

ახლა ამ წინადადებებს დააკვირდი:

ადამიანი ქვაზე შედგა.

ხესთან ცხენი ძოვს.

რით განსხვავდება ქვა და ადამიანი? ხე და ცხენი?
ქვა არის უსულო, ადამიანი – სულიერი;
ხე – უსულო, ცხენი – სულიერი.
ქვაზე ვინ შედგა? ხესთან რა მოჩანს?
გაიხსენე:



დააკვირდი ნახატებს და წაიკითხე მინაწერი:



მხოლოდ ერთი მთა



მთები

ერთი ღრუბელი

ღრუბლები

- რომელი ასოები დაემატა ერთზე მეტს ერთისგან გასარჩევად?

დაიმახსოვრე:

არსებით სახელებში -ებ მრავლობითი რიცხვის ნიშანია.

გაიხსენე:

„ღრუბლები როკვით დაიძრნენ ქარში“...

მრავლობითის ძველი ფორმა

დააკვირდი არსებით სახელებს:

მეომრები იბრძოდნენ.	მეომარნი იბრძოდნენ.
ფრინველები გალობდნენ.	ფრინველნი გალობდნენ.

თანამედროვე ქართულ ენაში არსებით სახელს მრავლობით რიცხვში -ებ დაერთვის. ძველ ქართულ ენაში კი მრავლობით რიცხვს -ნ (ნარი) აღნიშნავდა.

მრავლობითი რიცხვის ძველი ნიშნანი -ნ (ნარი) დღესაც შემონახულია ჩვენს ენაში.

გაიხსენე ლადო ასათიანის ლექსი:

„ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმაძღარნო ომითა!“

დაიმახსოვრე:

სახელობითი ბრუნვა – მეომარნი
წოდებითი ბრუნვა – მეომარნო

სიმრავლის აღმნიშვნელი სიტყვები

ყურადღებით წაიკითხე წინადადებები:

1. მხნე და დაუღალავმა მეფემ უამრავი ეკლესია და მონასტერი ააშენა.
2. ულრან ტყეში ბუდობდა მრავალი ნადირი.

რა შენიშნე?

გაიხსენე სიტყვები:
ბევრი, მრავალი, უამრავი, უთვალავი, ურიცხვი, აუარებელი, ყველა, უკლებლივ ყველა...

რადგან ეს სიტყვები ერთზე მეტს ისედაც აღნიშნავს, მათთან არსებით სახელს ნიშანი ებ აღარ სჭირდება:
დააკვირდი:

ურიცხვი მეომარი



აუარებელი მუზარადი

დაიმახსოვრე:
ამავე წესს ემორჩილება ეს სიტყვებიც: ცოტა, რამდენიმე, სხვადასხვა, ზოგი და ზოგიერთი:

ცოტა ფურცელი; რამდენიმე ფანქარი; სხვადასხვა ფერი;
ზოგიერთი ნახატი; ზოგი ადამიანი

არსებითი სახელის ბრუნება

დააკვირდი ქვემოთ ჩამოწერილ წინადადებებს:

არწივი ძალიან სწრაფია.
არწივს საცხოვრებლად მთიანი ადგილები უყვარს.
არწივის ხმით გულგახეთქილი ფრინველები აქეთ-იქით იფანტებიან.

როგორც ხედავ, სიტყვას არწივი ყველა წინადადებაში სხვადასხვა დაბოლოება აქვს.

● გაიხსენე, რა ჰქვია არსებითი სახელის ასე ცვლილებას?

ქართულ ენაში შვიდი ბრუნვაა. ვნახოთ, როგორ იცვლის დაბოლოებას არწივი შვიდივე ბრუნვაში:

(1) სახელობითი	არწივი ძლიერი ფრინველია.
(2) მოთხრობითი	არწივმა ცაში შეინავარდა.
(3) მიცემითი	არწივს ფრინველთა მეფეს უწოდებენ.
(4) ნათესაობითი	არწივის თვალებს რა დაემალება!
(5) მოქმედებითი	არწივით ამაყობენ მთაში მცხოვრებნი.
(6) ვითარებითი	არწივად ყოფნას ყველა ფრინველი ისურვებდა.
(7) წოდებითი	არწივო, მზესთან აფრინდი!

სიტყვას არწივი ბრუნებისას შესაბამისი ბრუნვის ნიშანი დაემატა.

არსებითი სახელის კვეცა

შენ იცი, რომ ზოგიერთი არსებითი სახელი **იკვეცება**. **კვეცა** სიტყვის ფუძის ბოლო ხმოვნის დაკარგვას ჰქვია.

შეადარე ერთმანეთს:

არწივის ბუდე წვრილი და მაღალია.

არწივები მარტშივე იწყებენ ხოლმე ახალი ბუდის კეთებას.

რა დაემართა სიტყვას ბუდე? ბოლოში ასო დაკარგა, შეიკვეცა:

ბუდ~~ე~~-ის

1. სახელობითი	ბუდე
2. მოთხრობითი	ბუდემ
3. მიცემითი	ბუდეს
4. ნათესაობითი	ბუდის
5. მოქმედებითი	ბუდით
6. ვითარებითი	ბუდედ
7. წოდებითი	ბუდევ

• რომელ ბრუნვებში შეიკვეცა არსებითი სახელის ფუძე?

დაიმახსოვრე: ა და ე ხმოვანზე დასრულებული ზოგი არსებითი სახელი იკვეცება.

არსებითი სახელის კუმშვა

ზოგიერთი არსებითი სახელი **იკუმშება**. სიტყვის ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას **კუმშვა** ეწოდება.

შეადარე ერთმანეთს:

1. წყლის პირას ლომმა ბუნაგი გაიკეთა.
2. ხვადი ლომი ძუ ლომს საჭმლის შოვნაში შველის.

რა დაემართა არსებით სახელს წყალი?
შუაში ასო ამოუვარდა, შეიკუმშა: წყ~~ა~~ლ-ის

1. სახელობითი	წყალი
2. მოთხრობითი	წყალმა
3. მიცემითი	წყალს
4. ნათესაობითი	წყლის (წყ~~ა~~ლის)
5. მოქმედებითი	წყლით (წყ~~ა~~ლით)
6. ვითარებითი	წყლად (წყ~~ა~~ლად)
7. წოდებითი	წყალო

- რომელ ბრუნვებში შეიკუმშა არსებითი სახელის ფუძე?

კუმშვად-კვეცადი სახელები

ზოგიერთი არსებითი სახელი **იკუმშება** და თან **იკვეცება**.



ფანჯარა

ფანჯრის რაფაზე ჩიტი დაფრინდა.



პეპელა

პეპლის ფრთები სიფრიფანაა.

რა დაემართა სიტყვებს ფანჯარა და პეპელა? ფუძის შუაში ასო ამოუვარდა, ფუძის ბოლოში ასო მოეკვეცა. ეს არსებითი სახელები **კუმშვად-კვეცადია**.

1. სახელობითი	პეპელა
2. მოთხრობითი	პეპელამ
3. მიცემითი	პეპელას / /
4. ნათესაობითი	პეპლის (~~პეპელა~~ის)
5. მოქმედებითი	პეპლით (პეპელაით)
6. ვითარებითი	პეპლად
7. წოდებითი	პეპელავ

დაიმახსოვრე კიდევ ორი კუმშვად-კვეცადი არსებითი სახელი:

ქვეყანა, ქარხანა.